



შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა
2021 -2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

მიზანი 1. შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება პროფესიული პროგრამებით

ამოცანა 1.1. ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდა - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო საქმე.

2021 წლის 22 სექტემბერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, დაევალა „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შემოწმება.

2021 წლის 29 სექტემბერს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის, მიერ განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში 2.2. კომპონენტი და სტანდარტი შეფასდა, როგორც „სრულად შესაბამისი“.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით კოლეჯს მიენიჭა უფლება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო საქმე“ პროფესიულ სტუდენტთა (100 პროფესიული სტუდენტი) ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ (ჯამში 475 პროფესიული სტუდენტი).

მტკიცებულებები:

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება (MES 2 21 0001341014 09.12.2021 წელი).

პასუხისმგებელი პირი - დირექტორის მოადგილე.

თანაშემსრულებელი - დირექტორი, ხუს, სპმს, სუს, ფს, მრმ, ბიბლიოთეკარი.

შესრულების შედეგი - შესრულებულია.

ამოცანა 1.2. შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების დამატება.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე კოლეჯს მიენიჭა უფლება დარეგისტრირდეს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ელექტრონულ სისტემაში:

- პროფესიული მომზადების პროგრამა „კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა“ (მსმენელთა ზღვრული რაოდენობა 10);
- პროფესიული მომზადების პროგრამის „გერიატრიული ასისტენტი“ (მსმენელთა ზღვრული რაოდენობა 30);
- პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების გზით შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას მიენიჭა უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ვიდეოოპერატორი
დაწესებულებამ 2 მაისიდან დაიწყო მსმენელების გადამზადება პროფესიული გადამზადების პროგრამაზე „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებთან მუშაობა“, ასევე მსმენელები მომზადდნენ გერიატრიული ასისტენტის პროფესიული მომზადების პროგრამაზე.

მტკიცებულებები:

- ✓ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 08 დეკემბრის No 1331837 ბრძანება. MES 4 21 0001331837 (პროფესიული მომზადების პროგრამა „კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა“);
- ✓ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 24 იანვრის No56698 ბრძანება. MES 3 22 0000056698 (პროფესიული მომზადების პროგრამის „გერიატრიული ასისტენტი“);
- ✓ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 11 აპრილის No56698 ბრძანება. MES 4 22 0000370762 (პროფესიული მომზადების პროგრამა - ვიდეოოპერატორი).

პასუხისმგებელი პირი - დირექტორის მოადგილე, სპმს.
თანაშემსრულებელი - დირექტორი, ხუს, მრმ, ბიბლიოთეკარი.
შესრულების შედეგი - შესრულებულია.

ამოცანა 1.3. ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდა.

ადმინისტრაციულ საბჭოზე მოხდა საკითხის განხილვა, კერძოდ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: „ფარმაცია (სააფთიაქო)“, „კბილის სატექნიკო საქმე“, „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის თაობაზე.

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფები თითოეული პროგრამის მიხედვით. სამუშაო ჯგუფებს დაევალებათ შესაბამისი პროგრამების პაკეტის გადახედვა, მომზადება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხილული იქნა სამუშაო ჯგუფების მიერ მომზადებული პროგრამის პაკეტი და პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის მიზანშეწონილობის დასაბუთება.

დირექტორის ბრძანებით განისაზღვრა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების გაზრდის რაოდენობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით:

- „ფარმაცია(სააფთიაქო)“ - 48 პროფესიული სტუდენტით;

- „კბილის სატექნიკო საქმე“ - 20 პროფესიული სტუდენტით;
- „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ - 15 პროფესიული სტუდენტით;

პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის შესახებ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: „ფარმაცია(სააფთიაქო)“, „კბილის სატექნიკო საქმე“, „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ შეტანილი იქნა თვითშეფასების კითხვარში.

2022 წლის 14 აპრილის MES 2 22 0000402610 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეაში ვიზიტი, ბრძანების თანახმად, განახორციელდა 2022 წლის 17, 18 და 19 მაისს.

ექსპერტთა შეფასებებისა და დასკვნის საფუძველზე, დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, თითქმის ყველა სტანდარტთან მიმართებით, შეფასდა როგორც „სრული“ (მათ შორის ყველა საგანმანათლებლო პროგრამა) და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებებით შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას 6 წლის ვადით მიენიჭა უფლებამოსილება განახორციელოს ზემოთ აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები გაზრდილი კვოტის ფარგლებში:

- „კბილის სატექნიკო საქმე“- პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით - სულ 60 პროფესიული სტუდენტით;
- „ფარმაცია(სააფთიაქო)“ - პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით - სულ 192 პროფესიული სტუდენტით;
- „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ - პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით - სულ 25 პროფესიული სტუდენტით;

მტკიცებულებები:

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილება MES 8 22 0000870077 (შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას ავტორიზაციის შესახებ);
- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას ადმინისტრაციული საბჭოს ოქმი N9 29.12.2021 წელი;
- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას დირექტორის ბრძანება (N16 14.01.2022 წელი) - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია(სააფთიაქო)“-ს სამუშაო ჯგუფის შექმნა და შემადგენლობის განსაზღვრა;
- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას დირექტორის ბრძანება (N17 14.01.2022 წელი) - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ სამუშაო ჯგუფის შექმნა და შემადგენლობის განსაზღვრა;

- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას დირექტორის ბრძანება (N18 14.01.2022 წელი) - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კბილის სატექნიკო საქმის“ სამუშაო ჯგუფის შექმნა და შემადგენლობის განსაზღვრა.
- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას ადმინისტრაციული საბჭოს ოქმი N11 31.01.2022 წელი;
- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას დირექტორის ბრძანება (N47 04.02.2022 წელი) - პროფესიულ სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობის დამტკიცების შესახებ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე: „ფარმაცია(სააფთიაქო)“, „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“, „კბილის სატექნიკო საქმე“.

პასუხისმგებელი პირი - დირექტორის მოადგილე, სპმს.
 თანაშემსრულებელი - დირექტორი, ხუს, მრმ, ბიბლიოთეკარი.
 შესრულების შედეგი - შესრულებულია.

ამოცანა 1.4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიცირებით ადმინისტრაციულ საბჭოზე განხილული იქნა საკითხი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურების“ დამატების შესახებ.

სამუშაო ჯგუფს დაევალა შესაბამისი პროგრამის პაკეტის მომზადება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხილული იქნა სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პროგრამის პაკეტი, განისაზღვრა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 50 პროფესიული სტუდენტი.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურების“ დამატების შესახებ შეტანილი იქნა თვითშეფასების კითხვარში.

2022 წლის 14 აპრილის MES 2 22 0000402610 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეაში ვიზიტი, ბრძანების თანახმად, განახორციელდა 2022 წლის 17, 18 და 19 მაისს.

ექსპერტთა შეფასებებისა და დასკვნის საფუძველზე, დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, თითქმის ყველა სტანდარტთან მიმართებით, შეფასდა როგორც „სრული“ (მათ შორის ყველა საგანმანათლებლო პროგრამა) და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებებით შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას 6 წლის ვადით მიენიჭა უფლებამოსილება განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიცირებით ადმინისტრაციულ საბჭოზე განხილული იქნა საკითხი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სამკერვალო წარმოების“ დამატების შესახებ.

ადმინისტრაციული საბჭოს წევრებმა მიიღო დადებითი გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სამკერვალო წარმოების“ შემუშავების და დამატების შესახებ, შესაბამისად შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას დირექტორის 2022 წლის 11 ივლისის ბრძანების №171 საფუძველზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, სამუშაო ჯგუფს დაევალა შესაბამისი პროგრამის პაკეტის მომზადება/ადაპტირება, პარტნიორი ორგანიზაციების მოძიება; სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული/ადაპტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სამკერვალო წარმოება“ პაკეტი წარდგენილი იქნა განსახილველად ადმინისტრაციულ საბჭოს. შპს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული პროგრამა სრული პაკეტით, განისაზღვრა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 30 პროფესიული სტუდენტით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „სამკერვალო წარმოება“ დამატების შესახებ შეივსო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადი.

მტკიცებულებები:

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილება MES 8 22 0000870077 (შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას ავტორიზაციის შესახებ);
- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას ადმინისტრაციული საბჭოს ოქმი N6 22.11.2021 წელი;
- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას დირექტორის ბრძანება (N209 26.11.2021 წელი) - „სასტუმრო მომსახურების“ სამუშაო ჯგუფის შექმნა და შემადგენლობის განსაზღვრა;
- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას ადმინისტრაციული საბჭოს ოქმი N11 31.01.2022 წელი;
- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას დირექტორის ბრძანება (N41 02.02.2022 წელი) - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურების“ დამტკიცების შესახებ;
- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას დირექტორის 2022 წლის 11 ივლისის ბრძანება №171;
- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას დირექტორის 2022 წლის 23 აგვისტოს ბრძანების №199.

პასუხისმგებელი პირი - დირექტორის მოადგილე, სპმს.
თანაშემსრულებელი - დირექტორი, ხუს, მრმ, ბიბლიოთეკარი.
შესრულების შედეგი - შესრულებულია.

მიზანი 2. პროფესიული პროგრამების განვითარება

ამოცანა 2.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტური მართვა თანამედროვე სწავლა/სწავლების მეთოდები და ფორმები.

დისტანციური სწავლებისას კოლეჯი იყენებს ელექტრონულ პლატფორმას (ZOOM.US). სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ განხორციელდა მოდულებზე დასწრება/დაკვირვება, შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით: დისტანციური სწავლებისას ელექტრონული პლატფორმის გამოყენება. კოლეჯის ადმინისტრაციამ კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა სასწავლო გარემო, სადაც პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ ელექტრონულად დაადასტურონ შესწავლილი შედეგები/მოდულები. ელექტრონული დადასტურება კოლეჯში დაიწყო 2021 წლის ოქტომბრის თვიდან, ხოლო დეკემბრის თვიდან უკვე შესაძლებელი გახდა დისტანციურად დადასტურებაც. დისტანციურ სწავლებასთან ერთად, პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულები, რომლებიც ხორციელდება კოლეჯის ლაბორატორიებში (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: „ფარმაცია“ (სააფთიაქო), „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“, „უბილის სატექნიკო საქმე“) სასწავლო პროცესი (სწავლება და შეფასება) მიმდინარეობს პროგრამით მოთხოვნილი მატერიალური-ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილ ლაბორატორიებში. ლაბორატორიებში დაცულია შრომის უსაფრთხოების წესები. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური მუდმივ მონიტორინგს ახორციელებს სასწავლო პროცესზე. ხდება ლექციებზე (დისტანციურად) და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრება. სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალის შემოწმება (თვალსაჩინოება, სასწავლო რესურსის მიწოდება). საჭიროების შემთხვევაში პროფესიული მასწავლებლებისთვის რეკომენდაციების მიცემა. 2021 წლიდან საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მესამე სასწავლო წლის პროფესიული სტუდენტებისთვის, კლინიკური სწავლების განხორციელება დაიწყო კონტრაქტორ კლინიკებში. კლინიკური სწავლების მეთოდებისა და შეფასების შესახებ, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ ჩატარდა ტრენინგები ექთნებისთვის.

მტკიცებულებები:

- ✓ ელექტრონული პლატფორმა (ZOOM.US) (GOOGLE FORM);
- ✓ პროფესიული სტუდენტების მიერ ელექტრონული დადასტურების ვიდეო მასალა;
- ✓ ჩატარებული შეხვედრების სქრინები;
- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიში.

პასუხისმგებელი პირი - სპმს.
თანაშემსრულებელი - დირექტორი, კქსმ.
შესრულების შედეგი - შესრულებულია.

ამოცანა 2.2. საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისად ბიბლიოთეკის ფონდის შევსება/განახლება.

გადაიხედა საგანმანათლებლო პროგრამებში/მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში: „საექთნო საქმის“, „ფარმაცია (სააფთიაქოს)“, „უბილის სატექნიკო საქმის“, „აღმზრდელის“, „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ მოდულებში განხორციელდა საგანმანათლებლო რესურსების ჩამატება/ცვლილება, დაემატა ელექტრონული სახელმძღვანელოები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „სასტუმრო მომსახურების“ საგანმანათლებლო რესურსი დაემატა წიგნის ფონდს როგორც, მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით. დაწესებულებაში ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სამკერვალო წარმოების შემუშავების და დამატების მიზნით, ბიბლიოთეკას დაემატა ახალი სახელმძღვანელოები, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით, ასევე გაუმჯობესების მიზნით მასწავლებლის კონსპექტები გაიგზავნა სტამბაში და მოხდა მათი გაელექტრონულება.

საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული(CD დისკზე ჩაწერილი) სახით, აღნიშნული საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია კოლეჯის ვებ-გვერდზე ელექტრონულ ბიბლიოთეკაში. ელექტრონულ ბიბლიოთეკაში ელექტრონული წიგნები დალაგებულია პროგრამების მიხედვით, ანბანურად, რათა მარტივად მოსაძიებელი იყოს სტუდენტისა და მასწავლებლისთვის.

მტკიცებულებები:

- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას წიგნის ფონდი;
- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას ვებ-გვერდი - ელექტრონული ბიბლიოთეკა;
- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას ბიბლიოთეკარის მიერ წარმოდგენილი ანგარიში.

პასუხისმგებელი პირი - ბიბლიოთეკარი.

თანაშემსრულებელი - დირექტორის მოადგილე, ხუს, სპმს,ფს.

შესრულების შედეგი - შესრულებულია.

ამოცანა 2.3. კოლეჯში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება.

კოლეჯში გამოყენებული პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის და მისი განვითარება მიზნით 2022 წლის 14 ივნისს დაიწყო შიდა ვერიფიკაციის პროცესის განხორციელება და დასრულდა 2022 წლის 27 ივნისს.

ვერიფიკაცია განხორციელდა შერჩევითი პრინციპით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მონაწილეობით.

შეფასების სამიზნდ შეირჩა ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

➤ კბილის სატექნიკო საქმე

პირველი სასწავლო წელი (2021 წელს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები);

მეორე სასწავლო წელი (2020 წელს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები).

➤ აღმზრდელი

პირველი სასწავლო წელი (2021 წელს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შეირჩა შემდეგი რისკების გათვალისწინებით:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა- კბილის სატექნიკო საქმე, როგორც მოთხოვნადი პროგრამა და კოლეჯის მიერ განხორციელებული კვოტის გაზრდა.

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - აღმზრდელი, როგორც კოლეჯის მიერ ახლად განხორციელებული პროგრამა.

კოლეჯის დირექტორის მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრა შიდა ვერიფიკაციის პროცესში მონაწილე შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის/წევრების შემადგენლობა თითოეული პროგრამის მიხედვით.

კოლეჯში შიდა ვერიფიკაციის პროცესი ჩატარდა „შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას შიდა ვერიფიკაციის წესი“-ს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული გეგმის შესაბამისად.

შიდა ვერიფიკაცია ჩატარდა სამი მიმართულებით:

- განმსაზღვრელი შეფასების დროს გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციას;
- შეფასების პროცესის ვერიფიკაციას;
- შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაციას (პროფესიული სტუდენტების მიღწევების უწყისები).

სულ შემოწმდა:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - კბილის სატექნიკო საქმე
 - ✓ 17 (ჩვიდმეტი) მოდული და 7 (შვიდი) პროფესიული სტუდენტის 133 (ასოცდაცამეტი) განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტი; პროფესიული სტუდენტების მიღწევების უწყისები, კალენდარული გეგმები.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - აღმზრდელი
 - ✓ 6 (ექვსი) მოდული და 7 (შვიდი) პროფესიული სტუდენტის 77 (სამოცდაჩვიდმეტი) განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტი; პროფესიული სტუდენტების მიღწევების უწყისები, კალენდარული გეგმები.

შიდა ვერიფიკატორების მიერ შედგენილი დასკვნების საფუძველზე, რომლებშიც იდენტიფიცირებული იქნა ყველა პრობლემური საკითხი, მომზადდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ანგარიში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის დასკვნიდან გამომდინარე შენიშვნები/ რეკომენდაციები გასაცნობად და შემდეგი რეაგირებისათვის გადაეცა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.

მტკიცებულებები:

- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას დირექტორის ბრძანება N 156. 10/06/22 შიდა ვერიფიკაციის პროცესის გეგმის დამტკიცების და ვადების დაცვის შესახებ.
- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას 2022 წლის 03.06 ადმინისტრაციული საბჭოს N19 ოქმი.
- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას დირექტორის ბრძანება N 150. 06/06/2022 ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კბილის სატექნიკო საქმე;
- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას დირექტორის ბრძანება N 151 06/06/22 ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე -აღმზრდელი;

პასუხისმგებელი პირი - ხუს.

თანაშემსრულებელი - დირექტორის მოადგილე, სპმს, ფს

შესრულების შედეგი - შესრულებულია.

ამოცანა 2.4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება.

2022 წელს (მარტი, აპრილი, მაისი) ჩატარდა კმაყოფილების კვლევა საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების, განვითარების და სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნებისათვის.

ამ მიზნით ჩატარდა საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას პროფესიული სტუდენტების, პროფესიული მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალის, კურსდამთავრებულების და პარტნიორი ორგანიზაციების გამოკითხვა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო - 51%-ზე მეტმა რესპოდენტმა შესაბამისი კითხვარების მიხედვით.

გამოკითხვების მონაცემების/შედეგების შეგროვების და ანალიზის შედეგად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოხდა პრობლემების იდენტიფიცირება, სასწავლო პროცესის და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის საჭირო ცვლილებების და შესაბამისი დასკვნების გამოტანა, რომლის საფუძველზეც შემუშავდა რეკომენდაციები და განისაზღვრა გასატარებელი ღონისძიებები/აქტივობები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, შემუშავებული ანგარიში, რეკომენდაციები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებები/აქტივობები წარუდგინა ადმინისტრაციულ საბჭოს განსახილველად.

ადმინისტრაციულ საბჭოზე განხილვის შემდეგ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, შესრულების ვადებით გადაეგზავნათ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს შესასრულებლად. (იხილეთ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის 2022 წლის „კმაყოფილების კვლევის შედეგების ანალიზი“ და ადმინისტრაციული საბჭოს ოქმი N 20 09.06.2022 წ.)

მტკიცებულებები:

- ✓ პროფესიული მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტების კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევის შევსებული კითხვარები;
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის 2022 წლის „კმაყოფილების კვლევის შედეგების ანალიზი“
- ✓ ადმინისტრაციული საბჭოს ოქმი N 20 09.06.2022 წ.

პასუხისმგებელი პირი - ხუს.

თანამშრომლებელი - სუს, არმ.

შესრულების შედეგი - შესრულებულია.

ამოცანა 2.5. ახალი პარტნიორების მოძიება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტებისთვის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, გაფორმდა ხელშეკრულებები/მემორანდუმები ახალ პარტნიორებთან:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო საქმე“: შპს აკადემიკოს ო. ლუღუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი, შპს „ქართულ-ჰოლანდიურ ჰოსპიტალი“, შპს „აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი, შპს საქართველოს

საპატრიარქოს წმიდა იოაკიმეს და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრთი, შპს „ამერიკან ჰოსპიტალ ნეთვორქი“, შპს „ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“.

- გადაიხედა ძველი ხელშეკრულებები -გაგრძელდა ხელშეკრულებების ვადები, დაზუსტდა მთელი რიგი საკითხები და შესულ ცვლილებებთან დაკავშირებით გაფორმდა ხელშეკრულებების ახალი დანართები და შეთანხმებები.
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ პროფესიული სტუდენტების დასაქმების მიზნით გაფორმა მემორანდუმი შპს ჯეოჰოსპიტალსის სამედიცინო კლინიკების ქსელში.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კბილის სატექნიკო საქმე“- შპს „დენტა ლაიფ“, შპს „დაიმონდ დენტ“ (14.01.2022წ.), D&K LAB
- საგანმანათლებლო პროგრამის ფარმაცია (სააფთიაქო) წარმატებულ განხორციელების მიზნებისათვის გადაიხედა შპს „პსპ ფარმასთან“ და სს „გეფასთან“ დადებული ხელშეკრულებები, დაზუსტდა მთელი რიგი საკითხები და შესულ ცვლილებებთან დაკავშირებით გაფორმდა ხელშეკრულებების ახალი დანართები.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურების“ დამატების მიზნით, პრაქტიკული კოპონენტის განხორციელებისათვის, კოლეჯმა გააფორმდა ხელშეკრულებები ამ დარგის შემდეგ იურიდიულ პირებთან: შპს „ციტრუსი“, შპს „ქართული სასტუმროების მართვის კომპანია“, შპს „სასტუმრო ლაიქი Hotel Like“.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სამკერვალო წარმოების“ დამატების მიზნით, პრაქტიკული კოპონენტის განხორციელებისათვის, კოლეჯმა გააფორმდა ხელშეკრულებები ამ დარგის შემდეგ იურიდიულ პირებთან: შპს პრემიერატმ და შპს უნისტილი.

მტკიცებულებები

- ✓ პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები.
- ✓ იურისტის მიერ წარმოდგენილი ანგარიში.

პასუხისმგებელი პირი - დირექტორის მოადგილე, სუს.

თანაშემსრულებელი - დირექტორი, იურისტი

შესრულების შედეგი - შესრულებულია.

მიზანი 3. მატერიალური და საინფორმაციო რესურსის განვითარება

ამოცანა 3.1. ინფრასტრუქტურის მოწყობა/განახლება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით შერჩეულია სასწავლო აუდიტორიები. სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით.

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - „საექთნო საქმე“, „ფარმაცია (სააფთიაქო)“, „კბილის სატექნიკო საქმე“, „ინფორმაციის ტექნოლოგიების მხარდაჭერა“ - სასწავლო აუდიტორიების/დარგობრივი ლაბორატორიების შეფასება (ტექნიკური აღჭურვილობა, მასალა/ნედლეული). პრაქტიკული კომპონენტის შემცველი

მოდულების განხორციელება მიმდინარეობს შესაბამისი პროგრამით მოთხოვნილი მატერიალურ ტექნიკური რესურსით, მასალა/ნედლეულით აღჭურვილ ლაბორატორიებში.

შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელების მიერ მუდმივად ხდება კოლეჯის მიერ შესყიდული მასალა/ნედლეულით C გარემოს შევსება პროფესიული სტუდენტებისათვის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით.

კოლეჯში B და C სასწავლო გარემოში შრომის უსაფრთხოება უზრუნველყოფილია, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია უსაფრთხო მუშაობის ინსტრუქცია.

სამკერვალო წარმოების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით, კოლეჯ პანაცეას პირველი კორპუსის, IV სართულზე, მოეწყო:

A C სასწავლო გარემო : სამხატვრო, B სასწავლო გარემო : რომელიც აღიჭურვა 15 კომპიუტერით პროფესიული სტუდენტისათვის, პრინტერით, პროფესიული მასწავლებლის მაგიდით, სკამით, კომპიუტერით და მონიტორით.

AC სასწავლო გარემო - სამკერვალო - რომელის აღიჭურვა პროგრამის განხორციელების მიზნისათვის შესაბამისი მატერიალური რესურსით-ინვენტარით: სხვადასხვა ტიპის საკერავი მანქანებით, მიმმართველი თათებით (თითოეული საკ. მანქანისთვის), ხელით საკერავი ნემსების კრებულით, საუთოო მაგიდით, გარემოში ასევე არის უთო, სანტიმეტრული ლენტი, სათითე, სარღვევი, მეტრიანი სახაზავი, მაკრატელი, ქინძისთავების ნაკრები და სხვა.

C სასწავლო გარემო - საკონსტრუქტორო სახელოსნო - რომელიც აღიჭურვა შესაბამისი ინვენტარით: კონსტრუირების მაგიდა, მანეკენი (ქალის, კაცის, ბავშვის) , სახაზავი იარაღების კომპლექტი (დიდი ცირკული, კუთხემზომი, ფარგალი, კონსტრუქტორის სახაზავები და სპლაინი), დაფა.

C სასწავლო გარემო - საგამომჭრელო , რომელიც აღიჭურვა: საგამომჭრელო მაგიდებით და საგამომჭრელო ინვენტარით.

კოლეჯში მუდმივად ხორციელდება ინფრასტრუქტურის მოწყობა/განახლება/შემენა.

მტკიცებულებები:

მტკიცებულებები

- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიში;
- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას ფინანსური სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიში;
- ✓ ვიზუალური დათვალიერება.

პასუხისმგებელი პირი - დირექტორი.

თანაშემსრულებელი - სპმს, ფს.

შესრულების შედეგი - შესრულებულია.

ამოცანა 3.2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

კოლეჯის ორივე სასწავლო კორპუსის ადმინისტრაციული პერსონალის და პროფესიული მასწავლებლების განკარგულებაში არსებული კომპიუტერები, საბეჭდი მოწყობილობები,

ასლგადამღებები, პროექტორები, სკანერები ტექნიკურად, პროგრამულად გამართულია და სრულად შეესაბამება სამუშაო მოთხოვნებს.

შეძენილია 5 ცალი ლაზერული კარტრიჯი, 35 ცალი სადენიანი USB ინტერფეისის მქონე მაუსი, 6 ცალი პორტატული კომპიუტერი.

განხორციელდა კოლეჯის ორ სასწავლო კორპუსში აიტი ინფრასტრუქტურის გეგმიური შემოწმება.

მტკიცებულებები:

- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების მენეჯერის მიერ წარმოდგენილი ანგარიში;
- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას ფინანსური სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიში.

პასუხისმგებელი პირი - კქსმ.

თანაშემსრულებელი - დირექტორი, ხუს, ფს.

შესრულების შედეგი - შესრულებულია.

ამოცანა 3.3. ფინანსური მდგრადობის მიზნით დაფინანსების ახალი წყაროების მოძიება.

ფინანსური მდგრადობის და დაფინანსების ახალი წყაროების მოძიების მიზნით კოლეჯის მიერ შეირჩა, მომზადდა და კოლეჯს მიენიჭა უფლება დარეგისტრირდეს პროფესიული მომზადების /პროფესიული გადამზადების პროგრამის ელექტრონულ სისტემაში პროფესიული მომზადების შემდეგ პროგრამებზე:

- „კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა“;
- „გერიატრიული ასისტენტი“ ;
- პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების გზით, კოლეჯს მიენიჭა უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ვიდეოოპერატორი დაწესებულებამ 2 მაისიდან დაიწყო მსმენელების გადამზადება პროფესიული გადამზადების პროგრამაზე „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებთან მუშაობა“, ასევე მსმენელები მომზადდნენ გერიატრიული ასისტენტის პროფესიული მომზადების პროგრამაზე.

დაფინანსების ახალი წყაროების მოძიების და „ექსტრაკურიკულური აქტივობების განვითარების ხელშეწყობის“ კომპონენტის ფარგლებში, კოლეჯის მიერ 2022 წლის სექტემბერში შეივსო და გაიგზავნა განაცხადი ააიპ- პროფესიული უნარების სააგენტოში, „გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისთვის“ პროგრამაზე; განისაზღვრა კოლეჯის მხრიდან პროექტში მონაწილე პირები, დაიგეგმა პროექტის განხორციელებისათვის შესაბამისი აქტივობები, მომზადდა თანამშრომლობის მემორანდუმები.

2021-2022 სასწავლო წელს კოლეჯი იმყოფებოდა ავტორიზაციის (რეავტორიზაციის) პროცესში, რომლის დროსაც კოლეჯმა დაიმატა ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მიმდინარე პროფესიულ საგანმანათლებლო პროფესიულ პროგრამებზე გაზარდა პროფესიულ სტუდენტთა კვოტა, შესაბამისად საანგარიშსწორებო პერიოდში ვეღარ მოხდა ფასიანი ტრენინგების

მოძიება, შერჩევა და განხორციელება. ამიტომ გაცა რეკომენდაცია: აღნიშნული აქტივობა გადაიდო მომდევნო 2022-2023 სასწავლო წლისათვის.

მტკიცებულებები:

- ✓ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 08 დეკემბრის No 1331837 ბრძანება. MES 4 21 0001331837 (პროფესიული მომზადების პროგრამა „კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა“);
- ✓ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 24 იანვრის No56698 ბრძანება. MES 3 22 0000056698 (პროფესიული მომზადების პროგრამის „გერიატრიული ასისტენტი“);
- ✓ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 11 აპრილის No56698 ბრძანება. MES 4 22 0000370762 (პროფესიული მომზადების პროგრამა - ვიდეოოპერატორი).
- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას კოპრესპონდენცია პროექტთან დაკავშირებით. (მითითებული მტკიცებულებები ატვირთულია კოლეჯის eflow სისტემაში).

პასუხისმგებელი პირი - დირექტორის მოადგილე

თანამშრომლებელი - დირექტორი, ფს, სუს.

შესრულების შედეგი - ნაწილობრივ შესრულებულია.

ამოცანა 3.4. კოლეჯის მიერ ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების განხორციელება.

- ისრაელის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ინიცირებით, კარიტასის და პარტნიორ ორგანიზაციების ჩართულობით, შერჩეული და შემუშავებული იქნა პროფესიული მომზადების პროგრამის „გერიატრიული ასისტენტი“. მიმდინარე საანგარიშსწორებო პერიოდში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე კოლეჯს მიენიჭა უფლება დარეგისტრირდეს შესაბამისი პროფესიული მომზადების პროგრამით, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ელექტრონულ სისტემაში;
- ესტონეთის კოლეჯთან განახლდა მიმოწერა და დაიგეგმა სამომავლო გეგმები.
- დაიწყო მიმოწერა ბულგარეთის, ქ.ვარნას სამედიცინო კოლეჯთან და დაიგეგმა საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა.
- ჩატარდა კომპანია RADIX-ის ორგანიზებით სტომატოლოგთა საერთაშორისო ფორუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას მეორე სასწავლო წლის, კბილის სატექნიკო საქმის სტუდენტმა (თემა “თანამედროვე ლაბორატორიული და კლინიკური ეტაპების სიმბიოზი”);
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრისა და გაეროს განვითარების პროგრამის UNDP Georgia-ს ფარგლებში გაიმართა სამუშაო შეხვედრა - „პროფესიული საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის ახალი სტანდარტებისა და პროცედურების დანერგვა/გამოწვევები და რეკომენდაციები“. სამუშაო შეხვედრაში აქტიური მობაწილეობა მიიღეს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას დირექტორმა ვასილ კიკნაძემ და დირექტორის მოადგილემ მაია ჩიხლაძემ.

მტკიცებულებები:

- ✓ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 24 იანვრის №56698 ბრძანება. MES 3 22 0000056698 (პროფესიული მომზადების პროგრამის „გერიატრიული ასისტენტი“);
- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიში;
- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას კოპრესპონდენცია პარტნიორ ორგანიზაციებთან პროექტთან დაკავშირებით;
- ✓ კოლეჯის facebook გვერდი.

პასუხისმგებელი პირი - დირექტორის მოადგილე.

თანაშემსრულებელი - დირექტორი, სუს.

შესრულების შედეგი - შესრულებულია.

ამოცანა 3.5. კოლეჯში ფინანსური დაგეგმარების დახვეწა დანახარჯების ეფექტიანობის გაზრდა და შესაძლო რისკების ანალიზი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით განისაზღვრა საპროგნოზო ბიუჯეტი, რომლის განხილული იქნა ადმინისტრაციულ საბჭოზე და დამტკიცდა დირექტორის ბრძანებით. ფინანსური სამსახურის ანგარიში, მოიცავს მიმდინარე სასწავლო წლის ფინანსურ მონაცემებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: „საექთნო საქმე“, „ფარმაცია“ (სააფთიაქო); „კბილის სატექნიკო საქმე“, „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“, „აღმზრდელი“, „სასტუმრო მომსახურება“.

მტკიცებულებები:

- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას ფინანსური სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიში;
- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას ფინანსური სამსახურის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

პასუხისმგებელი პირი - ფს.

თანაშემსრულებელი - დირექტორი.

შესრულების შედეგი - შესრულებულია.

ამოცანა 3.6. საკომუნიკაციო საშუალებების განვითარება - ვებ.გვერდი, სოციალური ქსელები.

საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას ვებგვერდი www.panacea.edu.ge და Facebook გვერდი „საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა/College panacea“ ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას.

კოლეჯ პანაცეას ვებ-გვერდზე განთავსებულია საკონტაქტო და სტანდარტების მოთხოვნით შესაბამისი ინფორმაცია (კოლეჯის სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.), Facebook გვერდზე კოლეჯის სიახლეები და აქტივობები.

ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

სოციალური ქსელის მეშვეობით ხდება კომუნიკაცია პროფესიულ სტუდენტებთან და აპლიკანტებთან.

Facebook გვერდზე რეკლამის განთავსების მეშვეობით ხდება კოლეჯის ცნობადობის გაზრდა.

კოლეჯის ელ.ფოსტა: Panacea.2008@yahoo.com წარმოადგენს ძირითად საკომუნიკაციო წყაროს, რომლის საშუალებითაც კოლეჯი ახორციელებს ინფორმაციის გაცვლას სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებთან, ფიზიკურ პირებთან და ნებისმიერ პირთან, კოლეჯის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან, აპლიკანტებთან.

მტკიცებულებები:

- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიში,
- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას ვებგვერდი www.panacea.edu.ge;
- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას სოციალური ქსელი Facebook გვერდი „საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა/College panacea“;
- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას ელ.ფოსტა: Panacea.2008@yahoo.com.

პასუხისმგებელი პირი - სუს.

თანაშემსრულებელი - დირექტორის მოადგილე, ხუს.

შესრულების შედეგი - შესრულებულია.

მიზანი 4. სტუდენტური სერვისების განვითარება

ამოცანა 4.1. პროფესიული სტუდენტების წარმომადგენლობითი საბჭოს ინიციატივების მხარდაჭერა.

საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას ბენდის “The Pangels“ და პროფესიული სტუდენტების მონაწილეობით ჩატარდა საახალწლო ღონისძიება.

მტკიცებულებები:

- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიში;
- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას კოლეჯის სოციალური ქსელი facebook გვერდი.

პასუხისმგებელი პირი - სუს, დირექტორის მოადგილე.

თანაშემსრულებელი - დირექტორი, ფს.

შესრულების შედეგი - შესრულებულია.

ამოცანა 4.2. უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა.

შენობები, რომლებსაც კოლეჯი იყენებს სასწავლო პროცესის განსახორციელებლად აღჭურვილია სახანძრო უსაფრთხოების დეტექტორებითა და საგანგაშო ღილაკებით. ასევე შენობის სახურავი დამუშავებულია ცეცხლგამძლე სპეციალური ხსნარით. უზრუნველყოფილია საევაკუაციო გასასვლელები საერთაშორისო სტანდარტების დაცვით. დამონტაჟდა ნაგებობა N2- ის გასასვლელი კარი, რომელიც საევაკუაციოდ გასასვლელი კარის სტანდარტებს შეესაბამება. N2 შენობის მეორე სართულზე ჩატარებული სარემონტო სამუშაოების შედეგად შეიფუთა და იზოლირებულად ჭერში განთავსდა ყველა გამავალი სადენი. N2 შენობის მე-2 და მე-4 სართული ასევე აღიჭურვა სახანძრო უსაფრთხოებისათვის საჭირო დეტექტორებით. მიმდინარეობს ვიდეო მონიტორინგი. აღნიშნული შენობის მესამე სართულზე ასევე მოხდა დენის სადენების იზოლირებულად შეფუთვა სადენ არხით. მიმდინარეობს პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიულ მასწავლებელთა პერიოდული ინსტრუქტაჟი სახანძრო უსაფრთხოების საკითხებში.

ახალი კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით სამუშაო ადგილზე შემუშავებულია და მიმდინარეობს პრევენციული ღონისძიებების სრული დაცვა, როგორცაა: საინჟინრო კონტროლის ღონისძიებები (მაგ. დამცავი და დეზო ბარიერები, გამაფრთხილებელი ნიშნები და ა.შ.), ადმინისტრაციული კონტროლის ღონისძიებები (ინსტრუქციები, ტრენინგი, სადებიზინფექციო სამუშაოებით უზრუნველყოფა).

მტკიცებულებები:

- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ წარმოდგენილი ანგარიში; ვიზუალური დათვალიერება.
- ✓ პასუხისმგებელი პირი - უს

თანაშემსრულებელი - დირექტორი, სპმს, სუს, მრმ.

შესრულების შედეგი - შესრულებულია.

ამოცანა 4.3. პროფესიული სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია“ (სააფთიაქო) პროფესიულ სტუდენტებთან გაიმართა შეხვედრა კორპორაცია „გეფას“ და „პსპ ფარმას“ წარმომადგენლებთან. შეხვედრის თემა იყო სტუდენტთა პროფორიენტაცია და „სტუდენტური დასაქმების პროგრამა“. შეხვედრის ფარგლებში, კორპორაცია „გეფას“ და „პსპ ფარმას“ წარმომადგენლები გაესაუბრნენ პროფესიულ სტუდენტებს ფარმაცევტის საქმიანობაზე და შესთავაზეს დასაქმება.

საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციისა და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ორგანიზებით გაიმართა პროფესიული განათლებით დასაქმების ფორუმი“. ფორუმზე მიწვეული იყვნენ კოლეჯების სადიპლომო და სასერტიფიკატო პროგრამების სხვადასხვა მიმართულების კურსდამთავრებულები. ასევე, წარმოდგენილი იყვნენ კოლეჯების პარტნიორი და

არაპარტნიორი კერძო კომპანიები. ფორუმის ფარგლებში სამუშაოს მაძიებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ შრომის ბაზრის აქტიურ ვაკანსიებს და ადგილზევე გასაუბრებოდნენ პოტენციურ დამსაქმებელს.

პროფესიული სტუდენტებისათვის და კურსდამთავრებულებისათვის შექმნილია Facebook ჯგუფი „დასაქმება პანაცეას სტუდენტებისთვის“, სადაც მუდმივად ხდება ინფორმაციის განხილვა ვაკანსიების შესახებ.

მტკიცებულებები:

- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიში;
- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას მიერ შექმნილი Facebook ჯგუფი „დასაქმება პანაცეას სტუდენტებისთვის“.

პასუხისმგებელი პირი - სუს.

თანაშემსრულებელი - დირექტორის მოადგილე, ხუს.

შესრულების შედეგი - შესრულებულია.

ამოცანა 4.4. ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება და ერთობლივი საგანმანათლებლო ღონისძიებების/პროექტების განხორციელება.

ტალინის ჯანდაცვის კოლეჯში ჩატარდა ვირტუალური კონფერენცია .კონფერენციაში მონაწილეობდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, პროფესიული კოლეჯების პროფესიული მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტები. კონფერენცია ჩატარდა ZOOM-ის ონლაინ პლატფორმის მეშვეობით. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას პროფესიულმა სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს კონფერენციაში (მრგვალი მაგიდის გარშემო დისკუსიაში) და წარმოადგინეს პრეზენტაციები. ტალინის კოლეჯის საექთნო პროგრამის ხელმძღვანელმა გააკეთა ვირტუალური სიმულაცია, ისაუბრა ჭრილობების დამუშავებაზე და პირადი დამცავი აღჭურვილობის მნიშვნელობაზე. კონფერენციაზე ასევე ჩატარდა სემინარი თემაზე: „ხელოვნება ჯანდაცვაში და სამედიცინო განათლებაში“.

კომპანია RADIX-ის ორგანიზებით სტომატოლოგთა საერთაშორისო ფორუმი ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას მეორე სასწავლო წლის, კბილის სატექნიკო საქმის სტუდენტმა (გაკეთა პრეზენტაცია თემაზე: “თანამედროვე ლაბორატორიული და კლინიკური ეტაპების სიმბიოზი”);

საზოგადოებრივ კოლეჯი პანაცეაში ჩატარდა ექთნის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელსაც ესწრებოდნენ პარტნიორი კლინიკების უფროსი ექთნები, რომლებიც არიან კოლეჯი პანაცეას წარმატებული კურსდამთავრებულები. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ კოლეჯი პანაცეას სტუდენტები, რომლებმაც გუნდური მუშაობით შექმნეს ექთნის ფიცი.

საანგარიშწორებო პერიოდში, საზოგადოებრივ კოლეჯი პანაცეას პროფესიულ სტუდენტებს ჩაუტარდათ ონლაინ ტრენინგი:

- თემაზე: 21-ე საუკუნის უნარები და კომპენტეციები. ტრენინგს უძღვებოდა ამერიკის უნივერსიტეტების პროფესორთა ასოციაციის წევრი, ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი მერაბ

მიქელაშვილი. ტრენინგზე განხილული იქნა ციფრულ ეპოქაში ციფრული საზოგადოების პირობებში არსებული გამოწვევები, რომელიც აუცილებელს ხდის პროფესიულ უნარებთან ერთად ისეთი უნარების ფლობას, როგორცაა კრიტიკული აზროვნება, გუნდურობა, კომუნიკაციის უნარი და კრეატიულობა.

➤ თემაზე: „პაციენტზე ზრუნვის ფსიქოლოგიური ასპექტები“. ტრენინგი ჩაატარა ფსიქოლოგმა მარიამ ქუთათელაძემ.

საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეაში გაიმართა ფარმაცია (სააფთიაქოს) პროფესიულ სტუდენტთა შეხვედრა ფარმაცევტთა ასოციაციის ხელმძღვანელ ლევან გოგიბერიძესთან. შეხვედრაზე, ბ-მა ლევანმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ასოციაციის საქმიანობის შესახებ პრეზენტაცია და ისაუბრა ასოციაციის მიღწევებზე პროფესიული განათლების კუთხით.

პირველი სასწავლო წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საექთნო საქმის პროფესიულ სტუდენტებს ჩაუტარდათ ონლაინ შეხვედრა „ამერიკული ჰოსპიტალი თბილისის“ დარგის სპეციალისტთან (მთავარ ექთანთან), რომელმაც პროფესიულ სტუდენტებს გააცნო ინფორმაცია „ამერიკული ჰოსპიტალი თბილისის“ მიერ დანერგილი სიახლეებისა და ინოვაციური მიდგომების შესახებ. ასევე, ისაუბრეს ექთნის პროფესიის მნიშვნელობაზე.

მტკიცებულებები:

- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიში;
- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას სოციალური ქსელი.

პასუხისმგებელი პირი - დირექტორის მოადგილე, სუს.

თანაშემსრულებელი - დირექტორი, სპმს.

შესრულების შედეგი - შესრულებულია.

მიზანი 5. ადამიანური რესურსის განვითარება

ამოცანა 5.1. ადამიანური რესურსის განვითარება.

კოლეჯში ჩატარდა პროფესიულ მასწავლებელთა ორდღიანი ტრენინგი თემაზე: „სწავლა-სწავლების ინტერაქტიული მეთოდები“. პროფესიული მასწავლებლების მიერ დასმულ ყველა შეკითხვაზე ტრენინგის მიერ გაცემული იყო ამომწურავი პასუხი.

კოლეჯში ჩატარდა მასწავლებელთა კონფერენცია თემაზე: „სწავლა-სწავლების მიდგომები პროფესიულ განათლებაში“. კონფერენცია ჩატარდა ონლაინ პლატფორმა ZOOM-ის საშუალებით. კონფერენციაზე, პროფესიულმა მასწავლებლებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები, ისაუბრეს დისტანციური სწავლების დადებით და უარყოფით მხარეებზე. კოლეჯის დირექტორმა ვირტუალურად გადასცა სერტიფიკატები კონფერენციაში მონაწილე პროფესიულ მასწავლებლებს.

სასწავლო პროცესის მართვის სამსახური მუდმივ მონიტორინგს ახორციელებს სასწავლო პროცესზე. ხდება ლექციებზე (დისტანციურად) და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრება და საჭიროების შემთხვევაში პროფესიული მასწავლებლებისთვის რეკომენდაციების მიცემა.

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ ჩატარდა ტრენინგი ექთნებისთვის კლინიკური სწავლების მეთოდებისა და შეფასების შესახებ.

სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდება პროფესიული მასწავლებლების შეფასება. შემუშავდა პროფესიული მასწავლებლის შეფასების ფორმა, მომზადდა პროფესიული მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალის, კმაყოფილების კვლევის კითხვარი, რომელთა შევსების და ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა პროფესიული მასწავლებლების და ადმინისტრაციული პერსონალის განვითარების საჭიროება და მიმართულება;

HR hub-ის ორგანიზებით, შატო მუხრანში HR ბიზნეს სამიტი 2022 გაიმართა, ჩატარდა მასტერკლასები და სამუშაო შეხვედრები (ვორკშოპები), რომელშიც მონაწილეობა მიიღო და წარადგინა საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა, კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერმა ლიკა კიკნაძემ.

პროფესიული უნარების სააგენტოს ინიციატივით, გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერითა და საერთაშორისო ორგანიზაციის „Action Against Hunger“ ჩართულობით, პროექტი „Shuttle მეთოდოლოგიის ადაპტაცია პროფესიულ განათლებაში მეწარმეობის სწავლებისას“ ხორციელდება, აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ტრენერთა ტრენინგი T.o.T ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას მეწარმეობის პროფესიული განათლების მასწავლებელმა მაია ჩიხლაძემ.

პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული უნარების კვირეულის ფარგლებში ჩატარდა:

- კონფერენცია - "უნარების ეკოსისტემის კვლევა და განვითარება", კონფერენციის ფარგლებში, განხილული იქნა უნარების ეკოსისტემის კვლევისა და ანალიზის სტრატეგია, რომელსაც ესწრებოდა კოლეჯი „პანაცეას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი თეა მელაძე;
- ღონისძიება სახელწოდებით - „საზოგადოებასთან ურთიერთობა უნარების ეკოსისტემაში“, სადაც საზოგადოებრივ კოლეჯი პანაცეას წარმომადგენელი იყო საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი თამილა ბერიძე, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებში.

საზოგადოებრივ კოლეჯი პანაცეაში ჩატარდა პროფესიულ მასწავლებელთა კონფერენცია თემაზე: “ინოვაციური სწავლება და შეფასება პროფესიულ განათლებაში” კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს პანაცეას პროფესიულმა მასწავლებლებმა, რომლებმაც წარმოადგინეს ძალზედ საინტერესო პრეზენტაციები ინოვაციური სწავლებისა და შეფასების მეთოდებზე.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრისა და გაეროს განვითარების პროგრამის UNDP Georgia-ს ფარგლებში გაიმართა სამუშაო შეხვედრა - „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ახალი სტანდარტებისა და პროცედურების დანერგვა/გამოწვევები და რეკომენდაციები“. სამუშაო შეხვედრაში აქტიური მობაწილეობა მიიღეს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას დირექტორმა ვასილ კიკნაძემ და დირექტორის მოადგილემ მაია ჩიხლაძემ.

მტკიცებულებები:

- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიში;
- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიში;
- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის მიერ წარმოდგენილი ანგარიში;
- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას მიერ შედგენილი კითხვარი,
- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას კოლეჯის სოციალური ქსელი.

პასუხისმგებელი პირი - დირექტორის მოადგილე, ხუს, არმ.

თანაშემსრულებელი - დირექტორი, სპმს, ვს.

შესრულების შედეგი - შესრულებულია.

ამოცანა 5.2. ადამიანური რესურსის სტიმულირება

კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული პროფესიულ მასწავლებელთა შეფასებების გათვალისწინებით/საფუძველზე, შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას შინაგანაწესის 26-ე მუხლის 26.2. პუნქტის 26.2.3. და 26.2.4. ქვეპუნქტებისა და შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას 2022 წლის 09.06. N20 ოქმის შესაბამისად მიეცათ ფულადი ჯილდო/პრემია და გადაეცეთ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას სამახსოვრო საჩუქარი 5 (ხუთ) პროფესიულ მასწავლებელს.

12 მაისს საზოგადოებრივ კოლეჯი პანაცეაში ჩატარებულ ექთნის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, რომელსაც ესწრებოდნენ პარტნიორი კლინიკების უფროსი ექთნები, კოლეჯის დირექტორმა, ბატონმა ვასილ კიკნაძემ ყველა ექთანს მიულოცა ეს დღე, მადლობა გადაუხადა პროფესიონალიზმისა და პასუხისმგებლობისათვის და წახალისების მიზნით გადასცა კოლეჯი „პანაცეას“ ჯილდო წარწერით: გილოცავთ ექთნის საერთაშორისო დღეს.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კბილის სატექნიკო საქმე“; გაწეული საქმიანობისთვის (მოდულების განფასების მიზნით შესრულებული სამუშაოსთვის), გაიცეს პრემია (შპს საზოგადოებრივ კოლეჯი პანაცეას სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელზე „კბილის სატექნიკო საქმე“ და ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელზე);

გაწეული სამუშაოებისათვის, ადამიანური რესურსის სტიმულირების მიზნით გაიცა პრემია ადმინისტრაციულ პერსონალზე.

მტკიცებულებები:

- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას დირექტორის ბრძანება N166. 27/10/2021;
- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას დირექტორის ბრძანება N212 30/11/2021;
- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას დირექტორის ბრძანება N213 30/11/2021;
- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას დირექტორის ბრძანება N124 21/04/2022;
- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას დირექტორის ბრძანება N170 11/07/2022 წ.
- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას 2022 წლის 09.06. N20 ოქმი;
- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას დირექტორის ბრძანება N185 02/08/2022

✓ შესაბამისი ბუღალტრული დოკუმენტაცია.

პასუხისმგებელი პირი - ხუს, არმ

თანამშრომლებელი - დირექტორი, დირექტორის მოადგილე, სპმს, ფს

შესრულების შედეგი - შესრულებულია

ამოცანა 5.3. კოლეჯში მართვის სისტემის განვითარება - სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ეფექტურად შესრულება

გეგმის შესაბამისად მარტის და სექტემბრის თვეში ჩატარდა მონიტორინგი, სამსახურებისა და ადმინისტრაციული თანამშრომლებისგან გამოთხოვილი იქნა შუალედური ანგარიშები, სადაც ასახულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესრულების გარემოებები. აღნიშნული ანგარიშები გამოყენებული იქნა სამოქმედო გეგმის შუალედური და წლიური ანგარიშის შედგენის დროს.

აღნიშნული ფაქტები და გარემოებების საფუძველზე კოლეჯის ჩატარებული სამუშაოები ამოცანის შესრულებისათვის საანგარიშსწორებო პერიოდში ფასდება დადებითად.

მტკიცებულებები:

✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის 2021 -2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;

✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის 2021 -2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შუალედურის ანგარიში;

პასუხისმგებელი პირი - ხუს,.

თანამშრომლებელი - დირექტორი, დირექტორის მოადგილე, სპმს, არმ, ფს, სუს, უს, მრმ, კქსმ

შესრულების შედეგი - შესრულებულია.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი-----თ. მელაძე

აბრევიატურები:

- ხუს - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
- სპმს - სასწავლო პროცესის მართვის სამსახური;
- სუს - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;
- ფს - ფინანსური სამსახური;
- უს - უსაფრთხოების სამსახური;
- არმ - ადამიანური რესურსების მენეჯერი;
- მრმ - მატერიალური რესურსების მენეჯერი;
- კქსმ - კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების მენეჯერი.